განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამა "კონფლიქტების ანალიზი და მართვა", დოქტორანტურა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 15-16 ნოემბერი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 27 დეკემბერი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კონფლიქტების ანალიზი და მართვა
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა, მე-8 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სოციალური მეცნიერებების დოქტორი PhD in Social Sciences
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები – არაკლასიფიცირებული
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	30
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, №289; 11/11/2011.

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი გორგილაძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო მიდელაშვილი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯოვანა აბლოთია, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სადოქტორო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2000 წლიდან ფუნქციონირებს. პროგრამა მნიშვნელოვნად ითვალისწინებს საერთაშორისო გამოცდილებას და ანალოგებს. თავდაპირველად პროგრამა შემუშავებულ იქნა ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამის ბაზაზე, თუმცა დროდადრო გარკვეული ცვლილებები განხორციელდა, 2007 წელს კი პროგრამა დაუახლოვდა დენვერის უნივერსიტეტის გამოცდილებას და მოდიფიცირდა შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულები მოამზადოს როგორც კვალიფიკაციური და პასუხისმგებლიანი სპეციალისტები კონფლიქტების ანალიზის და მართვის დარგის შესაბამისი თეორიული ცოდნითა და კვლევითი უნარებით; გამოუმუშავოს დოქტორანტებს კონფლიქტების დარეგულირების სფეროში კრიტიკული აზროვნება და პროფესიული უნარები; ასევე, მოამზადოს ისინი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის, რათა მათ წვლილი შეიტანონ დარგის განვითარებასა და მომავალი სპეციალისტების მომზადებაში.

პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30 (ECTS) კრედიტს, სავალდებულო სასწავლო კომპონენტები 25 კრედიტი და არჩევითი კურსები - 5 კრედიტი. გარდა ამისა, სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სამეცნიერო კვლევით პროექტებს (1, 2 და 3), როგორც სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას.

პროგრამით უზრუნველყოფილი ადამიანური, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი საფუძველს უქმნის ზემოთ აღნიშნული მიზნების მიღწევას. ამასთან, პროგრამის მიზნები თავსებადია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა

დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის ნაწილში, რომელიც გულისხმობს ხელი შეუწყოს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო კეთილდღეობას, ასევე ახალი ცოდნის შექმნას, შენახვასა და გავრცელებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

"აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კონფლიქტოლოგიის" სამაგისტრო და "კონფლიქტების ანალიზი და მართვის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შესახებ" განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 4 ნოემბრის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა დისტანციური ვიზიტი 15 და 16 ნოემბერს ZOOM პლატფორმის მეშვეობით. აკრედიტაციის ვიზიტამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინამოსამზადებელი შეხვედრა ასევე ZOOM პლატფორმის ფორმატში, სადაც განხილული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი მასალების შინაარსი. შეხვედრის ფარგლებში, მოხდა ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება და სააკრედიტაციო ვიზიტის დღის წესრიგში სესიების მიხედვით დასასმელი კითხვების დაზუსტება აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

ვიზიტის მიმდინარეობისას, დღის წესრიგის მიხედვით, ორი დღის განმავლობაში ჩატარდა გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

ასევე, ონლაინ რეჟიმში შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საბიბლიოთეკო რესურსებისა და ლიტერატურის ხელმისაწვდომობა, ასევე LMS-ის ელექტრონული სასწავლო პორტალის და Moodle-ის ფუნქციონირება და სამეცნიერო ბაზებთან წვდომა. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან ინტერვიუები განხორციელდა კონსტრუქციულად, ეთიკური ნორმების დაცვით; ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა აკრედიტაციის სტანდარტების აღწერილობით/შეფასების კრიტერიუმებით კითხვების დასმის პროცესში. შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტებმა იმსჯელეს ვიზიტზე, შეაფასეს მიგნებები და გაუზიარეს უსდ-ს წარმომადგენლებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დოკუმენტაციის შესწავლისა და ექსპერტთა ჯგუფის სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, მივიღეთ სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

- **სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- **სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- **სტანდარტი 3: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- **სტანდარტი 4: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- **სტანდარტი 5: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- **რეკომენდაციები**

1.1 პროგრამის მიზნები

- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები და კვლევის სფეროები იყოს მეტად ინტერდისციპლინური, მისანიჭებელი არაკლასიფიცირებული კვალიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად.
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს პრაქტიკული და დარგობრივი სასწავლო კომპონენტი, რათა პროგრამამ გამოუმუშავოს დოქტორანტებს კონფლიქტების დარეგულირების სფეროში კრიტიკული აზროვნებისა და პროფესიული უნარ-ჩვევები, როგორიცაა: კონფლიქტების პრევენციის, მოლაპარაკებების წარმართვის, მედიაციის, ფასილიტაციისა და სხვა.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- რეკომენდებულია, გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და რელევანტურად შეფასდეს სწავლის შედეგების მიღწევა და მიღწევის დონეები.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- რეკომენდებულია, სადოქტორო პროგრამასა და დოქტორანტურის დებულებაში მითითებული დაშვების წინაპირობები, ენობრივი კომპეტენციის ნაწილში, შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან.

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კომპონენტს დაემატოს საგანი თანამედროვე სოციალური თეორიების მიმართულებით.

2.3. სასწავლო კურსი

- რეკომენდებულია, კურსის ძირითადი ლიტერატურა არ შემოიფარგლოს მხოლოდ ინგლისურენოვანი წყაროებით და პროგრამამ უზრუნველყოს სხვა უცხოენოვანი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა (საჭიროების შემთხვევაში) დაშვების ენობრივი წინაპირობიდან გამომდინარე.
- რეკომენდებულია, დარგობრივი სემინარის სილაბუსში გასწორდეს შუალედური და ფინალური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრები.

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- პროგრამის დასახული მიზნების სრულყოფილად განხორციელებისათვის, რეკომენდებულია გამრავალფეროვნდეს დოქტორანტების საკვლევი თემატიკა და ხელმძღვანელების რაოდენობა, რათა პროგრამამ სრულად მოიცვას საკვალიფიკაციო ჩარჩოს დეტალური სფეროს მიმართულებები.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამის მდგრადობისა და მისანიჭებელი არაკლასიფიცირებული კვალიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად, აუცილებელია პროგრამის ადამიანური რესურსი შეივსოს დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებას, ასევე სააკრედიტაციო სტანდარტის (საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია) უზრუნველყოფას.

4.3 მატერიალური რესურსი

- დარგში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ, უსდ-მ რეკომენდებულია უზრუნველყოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მრავალფეროვანი ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით საბიბლიოთეკო ფონდის შევსება - შეძენა-განახლება, რათა უზრუნველყოფილ იქნას საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში, ინფორმაციის სისტემური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი რეალურად ემსახურებოდეს პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას, გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას და სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

- რეკომენდებულია, პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ფარგლებში, გამახვილებულ იქნას ყურადღება პროგრამის მახასიათებლებზე, პროგრამაზე სიღრმისეული დაკვირვებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის მისანიჭებელ არაკლასიფიცირებულ კვალიფიკაციასთან მიმართებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- სასურველია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს ინფორმაცია განახლებული პროგრამის შესაბამისად.
- სასურველია წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რომელიც გადამოწმდება საუნივერსიტეტო გამოცდით/გასაუბრებით, ხოლო გამოცდისაგან გათავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს დამადასტურებელ სერტიფიკატს ენის B2 დონეზე ფლობის შესახებ.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- აშშ-ს ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზის და გადაჭრის ინსტიტუტსა და აშშ-ს დენვერის უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ცენტრთან თანამშრომლობის და კონსულტაციების მრავალწლიანი გამოცდილება, ცოდნისა და

გამოცდილების გაზიარების, გაცვლითი პროგრამების, მედიაციის კლინიკის ფარგლებში თანამშრომლობის და სადოქტორო დისერტაციების რეცენზირების ნაწილში.

- ფაკულტეტზე სტუდენტთა საერთაშორისო აქტივობებში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით დანერგილი პროგრამა - სტუდენტთა მივლინების დაფინანსების შესახებ (ფინანსდება საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის, ტრანსპორტირებისა და განთავსების ხარჯები წელიწადში ერთხელ).

▪ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინსტიტუციის არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო და შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით დასკვნა რჩება უცვლელი.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ სადოქტორო პროგრამის მიზნები თანხვედრაშია უსდ-ს მისიასთან, რომელიც ითვალისწინებს: ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას; ახალი ცოდნის შექმნას, შენახვასა და გავრცელებას; კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებას. ასევე, როგორც სოციალურ და პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენელი ნაწილი, პროგრამა იზიარებს ფაკულტეტის მისიას, რომელიც მოიაზრებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშეწყობას ახალი ცოდნის შექმნისა და გავრცელების გზით; კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას და სასწავლო–კვლევითი საქმიანობის განვითარებას. პროგრამა აქტუალური და პერსპექტიულია, მის მიერ შექმნილი ინტელექტუალური რესურსი დიდ წვლილს შეიტანს ქვეყანაში დარგისა და ზოგადად საზოგადოების განვითარების მიმართულებით. პროგრამის გახორციელებაში ჩართული მხარეები იზიარებენ პროგრამას და მის კონცეპტუალურ ხედვას. პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სტუდენტებსა და დამსაქმებლებთან ინტერვიურების პროცესში გამოვლინდა პროგრამის მნიშვნელობა და შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებთან, ამას მოწმობს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელიც. დასაქმების არეალი ძირითადად მოიცავს უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებს, კვლევით ორგანიზაციებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. პროგრამის კურიკულუმი და ცალკეული საგნები ნაწილობრივ თანხვედრაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (დამატებით გთხოვთ, იხ. სტანდარტი 2.2 და 2.3). უნდა აღინიშნოს, საგანმანათლებლო პოგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის სოციალური მეცნიერებების დოქტორი, პროგრამის სწავლის სფერო კი სოციალური და ქცევითი მეცნიერებები – არაკლასიფიცირებული. რადგან პროგრამას ენიჭება არაკლასიფიცირებული კვალიფიკაცია, საკვლევი თემატიკა უნდა პასუხობდეს შესაბამის

მოთხოვნებს და წარმოებდეს კვლევები სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებებით. 031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებების ვიწრო სფეროში შედის შემდეგი დეტალური სფეროები: 0311 ეკონომიკა; 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები; 0313 ფსიქოლოგია; 0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები. შესაბამისად, პროგრამის მიზნები და კვლევის სფეროები რეკომენდებულია მოიცავდეს კონფლიქტის ანალიზის ინტერდისციპლინურ ფოკუსს. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მეტწილად პასუხობს მიღწევადობას და რეალისტურობას, თუმცა, სადოქტორო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია გაძლიერდეს პრაქტიკული და დარგობრივი სასწავლო კომპონენტი, რათა პროგრამამ გამოუმუშავოს დოქტორანტებს კონფლიქტების დარეგულირების სფეროში კრიტიკული აზროვნებისა და პროფესიული უნარ-ჩვევები, როგორიცაა: კონფლიქტების პრევენციის, მოლაპარაკებების წარმართვის, მედიაციის, ფასილიტაციისა და სხვა. პროგრამა იზიარებს აშშ-ს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებას. საგულისხმოა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა, როგორც ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის, ასევე დენვერის უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • შრომის ბაზრის შესწავლის ანალიზი; • დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი; • უსდ-ს ვებ გვერდი - მისია, ხედვა, ღირებულებები (www.tsu.ge); • სოციალურ და პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტის მისია; • განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები და კვლევის სფეროები იყოს მეტად ინტერდისციპლინური, მისანიჭებელი არაკლასიფიცირებული კვალიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად. • რეკომენდებულია გაძლიერდეს პრაქტიკული და დარგობრივი სასწავლო კომპონენტი, რათა პროგრამამ გამოუმუშავოს დოქტორანტებს კონფლიქტების დარეგულირების სფეროში კრიტიკული აზროვნებისა და პროფესიული უნარ-ჩვევები, როგორიცაა: კონფლიქტების პრევენციის, მოლაპარაკებების წარმართვის, მედიაციის, ფასილიტაციისა და სხვა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- აშშ-ს ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზის და გადაჭრის ინსტიტუტსა და აშშ-ს დენვერის უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ცენტრთან თანამშრომლობის და კონსულტაციების მრავალწლიანი გამოცდილება, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, გაცვლითი პროგრამების, მედიაციის კლინიკის ფარგლებში თანამშრმლობის და სადოქტორო დისერტაციების რეცენზირების ნაწილში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, ასევე, მასზე თანდართული დოკუმენტაციის და ონლაინ ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუების თანახმად მტკიცდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, მოიცავს პროგრამის მიზნების შესაბამის ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად დადასტურდა პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, კერძოდ, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებელების. ნათლად ჩანს პროგრამაში ჩართული პირების მოტივაცია და პროგრამის მნიშვნელობის გაზიარება.

პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების მეშვეობით, აქვე აღსანიშნავია, სწავლების პროცესის შეფასების მექანიზმები შესაბამისობაშია როგორც საქართველოს კანონმდებლობასთან, ასევე უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მისიასთან და სწავლება-სწავლის მეთოდებთან. ამდენად, სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც *პირდაპირი* (სემესტრის ბოლოს სტუდენტების თვითშეფასების შედეგები, რომელზეც პასუხისმღებელია სასწავლო კურსის ლექტორი/ლექტორები; პროგრამის ხელმძღვანელი), ასევე *არაპირდაპირი* მეთოდები (სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფები ხორციელდება წელიწადში 3-ჯერ და მასში მონაწილეობას იღებენ პროგრამის სხვადასხვა სემესტრის სტუდენტები; ხოლო კურსდამთავრებულთა შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს 8 თვისა). ყოველი ფოკუს ჯგუფის შემდეგ, ხორციელდება ძირითადი მიგნებების იდენტიფიცირება და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ იწერება რეკომენდაციები და მის შესრულებაზე მონიტორინგი ევალება პროგრამის ხელმძღვანელს.

წარმოდგენილი კურიკულუმის რუკითა და პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდების ანალიზის შესაბამისად, მტკიცდება, რომ პროგრამას შემუშავებული აქვს სამიზნე ნიშნულების სისტემა, რომელიც თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის საორიენტაციო ზღვარს განსაზღვრავს. საგულისხმოა, რომ კურიკულუმის რუკა რელევანტურად არ ასახავს სწავლის შედეგებზე გასვლის ხარისხსა და დონეებს, განსაკუთრებით პროგრამის საფეხურთან მიმართებაში. სრულყოფილად არ არის ასახული სასწავლო კომპონენტების მიზნები და ასევე, გამოვლინდა უზუსტობები პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების ანალიზის დოკუმენტში წარმოდგენილ სამიზნე ნიშნულებთან დადარებისას. მაგ. დარგობრივი სემინარი კურიკულუმის რუკის მიხედვით შეესაბამება პროგრამის მე-4 და მე-5 სწავლის შედეგს მხოლოდ გაცნობით დონეზე, მაშინ როდესაც, უმეტესად სწავლის შედეგის მისაღწევ სამიზნე ნიშნულად სწორედ დარგობრივი სემინარია მითითებული. შესაბამისად, რეკომენდებულია გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და ასევე, შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი პროგრამის საფეხურთან.

შთამბეჭდავია კურსდამთავრებულთა მიღებული კვალიფიკაციით დასაქმების 100%-იანი მაჩვენებელი, რაც დასტურდება უსდ-ს მიერ წარდმოგენილი დოკუმენტაციით, ასევე, პროგრამის დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგებით. ბოლო 5 წლის განმავლობაში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულა და ხარისხი მოიპოვა ოთხმა პირმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის კვლევა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;

• კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და რელევანტურად შეფასდეს სწავლის შედეგების მიღწევა და მიღწევის დონეები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიურ ხარისხს „კონფლიქტოლოგიაში“ ან სხვა სპეციალობაში, რაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისია. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირს ამავდროულად მოეთხოვება: ➢ უცხო ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე (დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით); ➢ სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობის ქონა; ➢ სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) წარმოდგენა; ➢ ზეპირი გასაუბრება სპეციალობაში (მათ შორის სადოქტორო კვლევით პროექტზე - პროსპექტუსზე). საგანმანათლებლო საფეხურისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე სრულყოფილი კვლევის ჩატარება შეუძლებელია უცხო ენის შესაბამისი ცოდნის გარეშე. აღნიშნულის გათვალისწინებით კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთ პირობად მოთხოვნილია უცხო ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა, რომელიც დასტურდება გამოცდით ან B2 დონეზე უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატით,

რაც ითვალისწინებს იმ სტუდენტების ინტერესებს, რომლებსაც გააჩნიათ აღნიშნულ დონეზე უცხო ენის ცოდნა და დამატებით აღარ საჭიროებენ გამოცდაზე გასვლას. თუმცა, პროგრამაში არ არის გამოკვეთილი რომელი უცხო ენის/ენების ჩაბარება შეუძლია ჩარიცხვის მსურველს, რაც ქმნის ბუნდოვანებას. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, „დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა…“. რეკომენდებულია პროგრამაში და დოქტორანტურის დებულებაში მითითებული დაშვების წინაპირობები შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადებითად შეფასდა სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობის მოპოვების საკითხი, რაც ცალსახად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ წინასწარი კონსულტაციების შედეგად ჩარიცხვის მსურველი პირი იცნობს პროგრამას. თავის მხრივ კი, მნიშვნელოვანია ზეპირი გასაუბრება სპეციალობაში, სადაც ადგილი ეთმობა სადოქტორო კვლევით პროექტზე - პროსპექტუსზე მსჯელობას, რაც წარმოდგენას ქმნის თუ რა ცოდნისა და უნარების მატარებელია აპლიკანტი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯაროდ არის განთავსებული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, თუმცა პროგრამების კატალოგში, განთავსებულია კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამის ძველი ვარიანტი, სასურველია ატვირთულ იქნეს მოდიფიცირებული და სარეაკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება. • განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.tsu.ge

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სადოქტორო პროგრამასა და დოქტორანტურის დებულებაში მითითებული დაშვების წინაპირობები, ენობრივი კომპეტენციის ნაწილში, შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს ინფორმაცია განახლებული პროგრამის შესაბამისად.
- სასურველია წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რომელიც გადამოწმდება საუნივერსიტეტო გამოცდით/გასაუბრებით, ხოლო გამოცდისაგან გათავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს დამადასტურებელ სერტიფიკატს ენის B2 დონეზე ფლობის შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა

უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის წესი, რომლის გამოყენებითაც შედგენილია კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სადოქტორო საფეხურს და მეტწილად ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს (მითითებები წინაპირობებზე იხილეთ ამავე სტანდარტის 2.1 კომპონენტში).

პროგრამა შედგება სავალდებულო სასწავლო კომპონენტებისგან (25 კრედიტი), მათ შორისაა კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები (5 კრედიტი), დარგობრივი სემინარი (15 კრედიტი) და პროფესორის ასისტენტობა (5 კრედიტი). არჩევითი სასწავლო კომპონენტებიდან სტუდენტი ირჩევს 5 კრედიტის შესაბამის სასწავლო კურსს. სტუდენტმა უნდა აირჩიოს:

- პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი;
- არჩევითი სასწავლო კურსი (რაც გულისხმობს იმას, რომ თუ დოქტორანტი არ არის კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული და შესაბამისად არ აქვს დარგის, სფეროს ცოდნა, მას შესაძლებლობა აქვს თავისუფალ მსმენელად დაესწროს სამაგისტრო საფეხურზე სასპეციალიზაციო სასწავლო კურს(ებ)ს) ან არჩევით საგნად უღიარდება საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო სასწავლო კურსი - 5 კრედიტი.

ვინაიდან, პროგრამას არ აქვს შეზღუდული დაშვების წინაპირობები, ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს, სოციალური მეცნიერების დოქტორის

კვალიფიკაციის მისანიჭებლად და პროგრამის შედეგების მისაღწევად, სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატოს საგანი თანამედროვე სოციალური თეორიების მიმართულებით. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სამ სამეცნიერო კვლევით პროექტს და სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სასწავლო კომპონენტის სრულად შესრულება (30 კრედიტი) და სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული 3 სამეცნიერო კვლევითი პროექტის წარდგენა დარგობრივი კომისიის წინაშე. ასევე, სადოქტორო პროგრამის სტუდენტს აქვს ორი საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში. ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუს შედეგები ადასტურებს მოდიფიცირებული პროგრამის შემუშავების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა ჩართულობას. ფაკულტეტზე დანერგილია პროგრამის განვითარების კომიტეტის ფუნქციონირების პრაქტიკა. ინტერდისციპლინური მიმართულების საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განხორციელების მხარდამჭერი კომიტეტის ფუნქციონირების შესაბამისად, პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი არიან დაინტერესებული მხარეები (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა). პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საჯაროდ, თუმცა არ არის გამოქვეყნებული პროგრამის განახლებული ვერსია (შესაბამისი მითითებები იხილეთ ამავე სტანდარტის 2.1 კომპონენტში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;

- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- საგანმანათლებლო კომიტეტების მუშაობის ოქმები;
- ფაკულტეტის ვებგვერდი: https://bit.ly/3cFiWky
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კომპონენტს დაემატოს საგანი თანამედროვე სოციალური თეორიების მიმართულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო

კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კონფლიქტების ანალიზის და მართვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები შედგენილია უნივერსიტეტში არსებული სტანდარტების დაცვით, კერძოდ თსუ-ში შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის წესის მე-4 დანართის სანიმუშო ფორმის მიხედვით. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები სწავლების საფეხურის რელევანტურია. სასწავლო კურსების (სავალდებულო და არჩევითი) სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სწავლების მეთოდები კურსის შინაარსის შესაბამისია და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. თითეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. სადოქტორო სემინარის კურსის სილაბუსიდან ირკვევა, რომ შეფასება ორეტაპიანია. შუალედური და ფინალური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ჯამი შეადგენს 52-ს. როგორც ვიზიტის მსვლელობისას გამოვლინდა, აღნიშნული არის ტექნიკური ხარვეზი და საჭიროებს გასწორებას. სასწავლო კურსის - ,,კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები“ - სილაბუსში მითითებული ლიტერატურა სილაბუსით გაწერილი თემების შესატყვისია და აცნობს სტუდენტებს მოცემული დარგის თანამედროვე მიღწევებს. აღნიშნულ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. თუმცა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობიდან გამომდინარე, დოქტორანტს შესაძლოა არ ჰქონდეს ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონე, ასეთ შემთხვევაში, სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურა არ შემოიფარგლოს მხოლოდ ინგლისურენოვანი წყაროებით.

მოწოდებული დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, გამოიკვეთა და დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 მაისის N: 37/2020 დადგენილებით მიღებულია ,, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი". აღნიშნულის შესაბამისად მიმდინარეობს მთელი რიგი სასწავლო კურსების ჩართვა აკადემიური კეთილსინდისიერების ელექტრონულ პროგრამაში Turnitin, რაც ემსახურება პლაგიატის თავიდან არიდებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • განხორციელებული გამოკითხვის შედეგების ანალიზი; • აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 მაისის N37 დადგენილება სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტის მიღების თაობაზე; • განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, კურსის ძირითადი ლიტერატურა არ შემოიფარგლოს მხოლოდ ინგლისურენოვანი წყაროებით და პროგრამამ უზრუნველყოს სხვა უცხოენოვანი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა (საჭიროების შემთხვევაში) დაშვების ენობრივი წინაპირობიდან გამომდინარე. • რეკომენდებულია დარგობრივი სემინარის სილაბუსში გასწორდეს შუალედური და ფინალური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კონფლიქტების ანალიზის და მართვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის საფეხურისა და სპეციფიკის შესაბამისად, ძირითად აქცენტს აკეთებს მოამზადოს კურსდამთავრებული, რომლის მიზანიც იქნება ემსახუროს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ასევე, პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულმა სწავლის დასრულების შემდეგ განახორციელოს სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა, რათა ერთი მხრივ, მოამზადოს დარგის მომავალი სპეციალისტები, ხოლო მეორე მხრივ, წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში პრაქტიკული საქმიანობით. ამ მიზნის მისაღწევად პროგრამაში გათვალისწინებულია პროფესორის ასისტენტობა, როგორც პრაქტიკული კომპონენტი და ის წარმოდგენილია როგორც სავალდებულო სასწავლო კომპონენტში, ასევე არჩევით სასწავლო კომპონენტში დოქტორანტის მიერ მისი გავლის განმეორებითი სურვილის გათვალისწინებით. დოქტორანტი ასისტენტობას უწევს თავის ხელმძღვანელს, მონაწილეობს უნივერსიტეტის

სასწავლო პროცესში. მენტორობის საშუალებით იძენს და აღრმავებს პედაგოგიურ უნარებს. მისი აქტივობა ფასდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე. პროგრამაში ინტეგრირებული დარგობრივი სემინარი გულისხმობს სასემინარო ნაშრომის მომზადებას და საჯარო დაცვას შესაბამის კომისიასთან. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტები აქვეყნებენ სამეცნიერო სტატიას სამეცნიერო კვლევის პროცესში მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ხოლო პროფესორის ასისტირება დოქტორანტს სწავლების, შეფასების და კვლევითი თემების ხელმძღვანელობის გამოცდილებას და პრაქტიკულ უნარებს სძენს. სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ფარგლებში პროგრამა მოიცავს სადისერტაციო ნაშრომს, რომლის წინაპირობასაც წარმოდგენს 3 სამეცნიერო-კვლევითი პროექტი და საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საუნივერსტეტო და საფაკულტეტო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • ინფორმაცია სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზების შესახებ; • ფაკულტეტის სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეციერებებში http://sjss.tsu.ge/ • სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება; • ინფორმაცია სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის შესახებ; • განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსითა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ვერბალური, დისკუსია/დებატები, წერითი მუშაობა, წიგნზე მუშაობა, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, ელექტრონული სწავლება, დემონსტრირების მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები. ძირითადად სილაბუსებით

განსაზღვრული სწავლის მეთოდები და აქტივობები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსსა და სპეციფიკასთან. ინსტიტუციის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას, აკადემიური და დამხმარე პერსონალის მეშვეობით, აქვს საშუალება საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს და განახორციელოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ასევე, შესაძლებელია ინდივიდუალური საჭიროების მქონე სტუდენტებს მიესადაგოს შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი; • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა; • პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის/თანახელმძღვანელის/კოორდინატორის ფუნქციები და პასუხისმგებლობების სფერო; • განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კონფლიქტების ანალიზის და მართვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ სტუდენტების ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების კანონით დადგენილი კრიტერიუმები; პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო დისციპლინების სწავლებისას, თითოეულ დისციპლინაში სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" შესაბამისი შეფასების სისტემით. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები გამოქვეყნებულია და წინასწარ არის ცნობილი სტუდენტისათვის. სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და ფინალურ შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს დასკვნით შეფასებას - 100 ქულას. შეფასების ფორმა ითვალისწინებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესი კანონთან შესაბამისია, რაც დასტურდება პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებით, პროგრამით, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებით. უნივერსიტეტის მიერ სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, არსებული ნაკლოვანებებისა და პროგრესის გზების შესახებ, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს უკუკავშირს. უკუკავშირის მეშვეობით დგინდება, რამდენად გამართულად, ხარისხიანად, შედეგზე ორიენტირებულად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, დისციპლინის სპეციფიკის და მახასიათებლების გათვალისწინებით

იკითხება აკადემიური პერსონალის ინდივიდუალიზმი. შეფასების კრიტერიუმები მოიცავს სამუშაო ჯგუფში აქტიურობას, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობას, წერითი ქვიზების შესრულებას, რეფერატების მომზადებასა და პრეზენტაციებს, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებას და სხვა (თითოეული მათგანის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმს). კონფლიქტების ანალიზის და მართვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების სილაბუსებში წარმოდგენილი სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები სრულად შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი მეთოდებით სტუდენტების შეფასების ფორმები სილაბუსებში სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ, ცხადად ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა ფორმით და რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება მათი შეფასება კონკრეტული აქტივობების გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრულ სავალდებულო და არჩევით საგნებში. უნივერსიტეტის მიერ კომპლექსურად ხორციელდება სწავლის შეფასების შედეგების ანალიზი, რაც გამოიყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. უსდ-ს მიერ, პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია სტუდენტების მიერ მიღებული შეფასების შედეგების გასაჩივრება. ელექტრონული სწავლების პლატფორმა e-learning.tsu.ge ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტს ინდივიდუალურად გაეცნოს შეფასების შედეგებს. აღნიშნული ელექტრონული პლატფორმა უზრუნველყოფს მაქსიმალურ ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ, ასევე აპელაციის შესაძლებლობას.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება ხორციელდება ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებითა და თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით განსაზღვრული წესების მიხედვით. სტუდენტები გარდა აღნიშნული შეფასების სისტემისა, ასევე კარგად იცნობენ ნაშრომის აკადემიური კუთხით გაფორმებისა და პლაგიატის პროგრამაში მოცემული ნაშრომის შემოწმების წესებსაც.

სადოქტორო ნაშრომის შეფასების სისტემა მოიცავს შემდეგი ტიპის შეფასებებს:

- ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- საშუალო (bene) – დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან საუბრისას აღინიშნა, რომ დაწესებულება სისტემატიურად იღებს უკუკავშირს სწავლის შედეგებზე; ასევე, ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ახორციელებს მხარდამჭერ კონსულტაციებს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება; • უსდ-ს დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტით განსაზღვრული წესი; • ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტების ანალიზის და მართვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს მიერ განსაზღვრული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები შიდა სამართლებრივი აქტებით სტუდენტებისათვის ადვილად გასაგები და მარტივად ხელმისაწვდომია (სტუდენტები და კურსდამთავრებულები ინტერვიუებში აღნიშნავენ, უსდ-ს მიერ შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პროცედურების ხელმისაწვდომობას). სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა თუ სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. ამასთანავე, სტუდენტებს საშუალება აქვთ, აკადემიური პერსონალისგან სილაბუსით გაწერილ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ ყველა საჭირო დახმარება და ინფორმაცია. კონსულტაციისთვის გამოიყენება ინდივიდუალური შეხვედრები, ელ-ფოსტა, ელექტრონული სასწავლო პორტალი LMS. აქვე ხაზგასასმელია, რომ დოქტორანტებთან მუშაობს სამეცნიერო

კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, რომელიც რეგულარულად აწვდის მათ ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე პროგრამების, პროექტების შესახებ და ასევე, უწევს კონსულტაციას სასწავლო პროცესის თაობაზე.

სტუდენტები ასევე აქტიურად არიან ჩართულნი თვითშფასების პროცესში. მონაწილეობენ როგორც სემესტრულ გამოკითხვებში, რომლითაც აფასებენ სხვადასხვა სასწავლო კურსებს, ასევე წელიწადში ერთხელ მონაწილეობენ საერთო კმაყოფილების კვლევის პროცესში. თსუ-ს ცენტრალური ხარისხის სამსახური ასევე ატარებს ყოველკვირეულ საკონსულტაციო შეხვედრებს სტუდენტებთან. სტუდენტებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, საბიბლიოთეკო რესურსებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე. უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის მეშვეობით ყველა სერვისის ხელმისაწვდომობა მოქნილი და კომფორტულია. უნივერსიტეტის მიერ დამსაქმებელთა, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტირებულია სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე.

დაწესებულებას აქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებისა და აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის მობილობას საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებში, კვლევითი პროექტების დაფინასებას/თანადაფინანსებას. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებებზე. უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში; უნივერსიტეტი ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას, მათ დაფინანსებას თუ თანადაფინანსებას კვლევით პროექტებში, საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სხვა ტიპის აქტივობებში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებში აღინიშნა, რომ უსდ მხარს უჭერს მათ, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ, საერთაშორისო კონფერენციებში, კვლევით პროექტებში.

კონფლიქტების ანალიზის და მართვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამის ბაზაზე. აღნიშნულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები და აკადემიური პერსონალი იღებენ მონაწილეობას. უსდ ახორციელებს კარიერული განვითარებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებებს. პროფესორ-მასწავლებლები სისტემატურად აწვდიან სტუდენტებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას თავიანთი ინტერესების შესაბამისად, ითანამშრომლონ კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან.

დაწესებულებას აქვს ფაკულტეტზე მოქმედი სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების

დეპარტამენტი, რომელიც რეგულარულად ატარებს ადგილობრივ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებთან დაკავშირებით კონსულტაციებს და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება სტუდენტებს მასში მონაწილეობის მისაღებად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება; • ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • ფაკულტეტზე სტუდენტთა საერთაშორისო აქტივობებში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით დანერგილი პროგრამა - სტუდენტთა მივლინების დაფინანსების შესახებ (ფინანსდება საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის, ტრანსპორტირებისა და განთავსების ხარჯები წელიწადში ერთხელ).
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია, საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ, რომ სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. სადოქტორო პროგრამას ანხორციელებენ და ხელძღვანელობენ აკადემიური ხარისხისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელები. პროგრამის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია და ის, რომ მათ აქვთ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში, დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციებითა და განხორციელებული ინტერვიუს შედეგებით. როგორც პროგრამის, ასევე სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელებს რეგულარული კონსულტაციები აქვთ დოქტორანტურის სტუდენტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. გარდა ამისა, უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს სთავაზობს კვალიფიციურ ხელმძღვანელს და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მოიწვიოს ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. უნივერსიტეტს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტურანტურის დებულებაში განსაზღვრული აქვს, თუ რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიური პერსონალი იმისათვის, რომ ისინი უფლებამოსილნი იყვნენ უხელმღვანელონ სტუდენტს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებთან სადოქტორო საფეხურზე კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში აიყვანონ თანახელმძღვანელიც. დოქტორანტებს სასწავლო პროცესის განმავლობაში სისტემატური შეხვედრები აქვთ როგორც ნაშრომის ხელმძღვანელთან, ისე პროგრამის ხელმძღვანელებთან. ყოველ სემესტრში სტუდენტი ვალდებულია წარადგინოს მოკლე ანგარიში განხორციელებული აქტივობების და სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული აქტივობების და სიახლეების შესახებ, რასაც მოსდევს სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელების უკუკავშირი. პროგრამაზე არსებული აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელთა თანაფარდობა შეადგენს 11/8-ს, ამასთან, მაქსიმუმ 5 აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტის ხელმძღვანელობის უფლება აქვს ერთ აკადემიურ პერსონალს. პროგრამის დასახული მიზნების სრულყოფილად განხორციელებისათვის, რეკომენდებულია გამრავალფეროვნდეს დოქტორანტების საკვლევი თემატიკა და ხელმძღვანელების რაოდენობა, რათა პროგრამამ სრულად მოიცვას საკვალიფიკაციო

ჩარჩოს დეტალური სფეროს მიმართულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება; • ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: • პროგრამის დასახული მიზნების სრულყოფილად განხორციელებისათვის, რეკომენდებულია გამრავალფეროვნდეს დოქტორანტების საკვლევი თემატიკა და ხელმძღვანელების რაოდენობა, რათა პროგრამამ სრულად მოიცვას საკვალიფიკაციო ჩარჩოს დეტალური სფეროს მიმართულებები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ	არის

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 პირი, აქედან 11 ფაკულტეტის აკადემიური, 3 - მოწვეული პედაგოგია. აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა, 2021 წლის მონაცემებით შეადგენს 6-ს. რაოდენობრივად აკადემიური/მოწვეული პერსონალი, მათი თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან უსდ-ში მოქმედი რეგულაციების მიხედვით შესაბამისი და ადეკვატურია. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეებიდან, დასტურდება, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას გარკვეულწილად ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. *თუმცა, განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის აუცილებელია სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად (0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები (არაკლასიფიცირებული) - კონფლიქტის ანალიზი*

და მართვა მოხდეს პროგრამის დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალით შევსება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებას, ასევე სააკრედიტაციო სტანდარტის (საგანმანათ-ლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფი-კაცია) უზრუნველყოფას.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის პრობლემას არ ქმნის. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, სრულ შესაბამისობაშია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობასთან - პერსონალთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია და პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობას ისე, რომ ამ მიმართულებით პროგრამამ მიაღწიოს სრულყოფილ შედეგს.

უსდ-ს პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკა, სტუდენტების ადგილების რაოდენობა, სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა, მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების პრაქტიკა.

პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის მიხედვით, პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალია - უნივერსიტეტის ნებისმიერი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის თანამშრომელი, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალი.

უსდ-ში მოქმედებს „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი“, მასში გაწერილია აკადემიური თანამდებობის დაკავების წესები, რომელიც შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს, კერძოდ, ამავე დოკუმენტშია აღწერილი კონკურსის პირობები, დოკუმენტაციის მიღების პროცედურები, კონკურსანტთა შეფასების ეტაპები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

უსდ-ს მიერ განსაზღვრულია „აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები“, რომლის მიხედვით აფილირებული პერსონალი აკაყოფილებს შემდეგ პირობებს: ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/ შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას და მისი კვლევითი /სამეცნიერო/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები ეთვლება თსუ-ს; აქტიურად არის ჩართული თსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით/ სამეცნიერო/შემოქმედებით/ საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

ინტერვიუებიდან ასევე ირკვევა, რომ როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი აქტიურადაა ჩართული სტუდენტთა კონსულტირებაში. პროგრამის ხელმძღვანელები

აქტიურად არიან ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა დაკ ონკურსის ჩატარების ერთიანი წესი-https://tsu.ge/ka/legalakad/39797 • თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება No81/2018, 26 თებერვალი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ; • თსუ-ს აკადმიური საბჭოს დადგენილება No64/2018, 19 თებერვალი, სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ; • აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პირადი საქმეები და ხელშეკრულებების ნიმუშები.
რეკომენდაციები: • პროგრამის მდგრადობისა და მისანიჭებელი არაკლასიფიცირებული კვალიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად, აუცილებელია პროგრამის ადამიანური რესურსი შეივსოს დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებას, ასევე სააკრედიტაციო სტანდარტის (საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია) უზრუნველყოფას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. გამოკითხვები ტარდება როგორც პერსონალთან, აგრეთვე სტუდენტებთან პერსონალის შეფასების მიზნით, ყოველწლიურად, წელიწადში 2-ჯერ. პერსონალის შეფასების წესი განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით რომლის მიხედვითაც, მონაცემების წარმოება და ანალიზი გამოიყენება აკადემიური/პროფესიული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, რის საფუძველზეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გეგმავს რამდენიმე ტიპის აქტივობას: მათ შორისაა როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, ასევე ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგები და სემინარები (მათ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და მიდგომები, სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, ონლაინ სასწავლო პლატფორმების გამოყენება). აღნიშნულ ღონისძიებებში დასწრება მნიშვნელოვანი კომპონენტია აკადემიური პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. განვითარებისთვის განხორციელებულ აქტივობებს შორისაა: ა) სასწავლო კომპონენტი; ბ) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი. სასწავლო კომპონენტი გულისხმობს ფაკულტეტის მიერ მომზადებულ ონლაინ სასწავლო პლატფორმების (LMS, ZOOM, Moodle) ოპერირებისა და მართვის ტექსტურ და ვიდეო-ტუტორიალთა სერიას, რაც აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და დროულ, ეფექტურ განხორციელებაში. ამასთან, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს სახელმძღვანელოების კონკურსი, რაც გულისხმობს სასწავლო კურსებისთვის სახელმძღვანელოს შექმნას. აღნიშნული საგრანტო პროექტი საშუალებას აძლევს აკადემიურ პერსონალს სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტად მიღწევადი გახადოს და სასწავლო კურსის შინაარსი უფრო ხელმისაწვდომი და სასწავლო კურსის მიზნებთან შესაბამისი იყოს. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი გულისხმობს ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“ ორგანიზებასა და ამავე

სახელწოდების სამეცნიერო ჟურნალის არსებობას. ასევე, აღსანიშნავია საფაკულტეტო მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტი, რაც გულისხმობს აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების ერთობლივი მონაწილეობით სამეცნიერო კვლევის დაფინანსებას წინასწარგანსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. უსდ-ში მოქმედებს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც, პერსონალს საშუალება აქვს, ინტეგრირდეს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. უსდ-ს წარმოდგენილი აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საერთაშორისო კვლევები, გამოქვეყნებული შრომები, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამები, ორმხრივი შეთანხმებები, მემორანდუმები, და სხვა), რომლის მიხედვითაც მიმართულება გამოირჩევა საერთაშორისო თანამშრომლობით. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანია საერთაშორისო პროექტების/პარტნიორების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, აკადემიური პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში (როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი მობილობისა და პროექტების მხრივ). საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ უსდ უწყვეტად აფასებს პერსონალს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის გასაუმჯობესებელ გეგმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა: • https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/1012019_d1.pdf; • თსუ ვებ-გვერდი: https://www.tsu.ge; • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი: https://www.tsu.ge/ge/faculties/social/news/; • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები; • თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები: https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/research/balances/ • პერსონალის პროფესიული განვითარება (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები 2018 (გვ.11), 2019 (გვ. 18)); • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვებ-გვერდი https://bit.ly/36DW1Cj
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში არსებული მატერიალური და ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. სტუდენტებთან ასევე პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუიების შედეგად ირკვევა, რომ მათ შეუძლიათ გამოიყენონ: სასწავლო აუდიტორიები, საფაკულტეტო მულტიმედიაცენტრი, კომპიუტერული რესურს-ცენტრი. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობისა და მისი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. რესურსს იცავს, როგორც თსუ-ის დაცვა, ისე ე.წ. ტექნიკური დაცვის სისტემები (ვიდეოთვალი, საჭიროების შემთხვევაში; სიგნალიზაცია; ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა; თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საევაკუაციო გეგმა), რაც უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. სასწავლო მასალებისა და სხვა ლიტერატურის შეფასების საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკა სტუდენტებს სრულად ვერ უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურით (ნაწილი გამოთხოვილი ლიტერატურისა არ იძებნება, ნაწილი კი, მხოლოდ მატერიალური სახით ინახება). მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში ჩართული პირები თავად ქმნიან ღირებულ სამეცნიერო პროდუქტს, ინტერვიუებიდან (ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან) იკვეთება, რომ პროგრამა არ ზრუნავს სხვა დარგობრივი ლიტერატურის შეძენა-განახლებაზე რაც ასევე ცხადად ჩანს ბოლო წლების ლიტერატურის შეძენის ნუსხით. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს კომპიუტერული

რესურს-ცენტრი (მეოთხე და მეექვსე კორპუსებში), მეოთხე კორპუსში საფაკულტეტო წიგნთა საცავი. ამდენად, ტექნიკურ-მატერიალური რესურსი პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია და ის უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით. აღნიშნული, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მათ ეძლევათ საშუალება მრავალმხრივი და სფეროს უახლეს ცოდნაზე დაფუძნებულ მიღწევებს გაეცნონ, არამედ ამით ხელი ეწყობა ინტერნაციონალიზაციის საკითხსაც, რაც შეუქცევადი პროცესია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუს შედეგები • უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიბლიოთეკები. ბიბლიოთეკის კატალოგი: • https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/e_catalog/; • ფაკულტეტისმატერიალურ-ტექნიკურიბაზა; • ფაკულტეტის ელექტრონული რესურსები https://bit.ly/3zIWPCF; • ელექტრონული სწავლების პლატფორმა (https://e-learning.tsu.ge/) • ელექტრონული სწავლების პლატფორმა (https://lms.tsu.ge/) • ელექტრონული კატალოგი/საბიბლიოთეკო ფონდი(https://www.tsu.ge/ka/library • მულტიმედია ცენტრი(http://multimedia.tsu.edu.ge/
რეკომენდაციები: • დარგში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ, უსდ-მ რეკომენდებულია უზრუნველყოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მრავალფეროვანი ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით საბიბლიოთეკო ფონდის შევსება - შეძენა-განახლება, რათა უზრუნველყოფილიქნას საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და გაწერილია: აკადემიური/მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება; პროგრამისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვა-სრულყოფის საკითხები; სამივლინებო და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები (როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის); წიგნების ფონდისა და მისი განახლების, გამომცემლობითი, სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები. უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია, საჭიროების შემთხვევაში თანხის გამოყოფა შესაძლებელია უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდანაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს ბიუჯეტი;
- პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			X	

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახური შედგება ორი განყოფილებისაგან - ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილება. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PDCA” პრინციპის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის ეტაპობრივად ასევე ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეხვედრები გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და დისკუსიის წარმართვის მიზნებისათვის. უსდ-ს დანერგილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ფუნქციონირების პრაქტიკა. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის საქმიანობა გულისხმობს დაინტერესებული მხარის ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში. კომიტეტში, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, შედის ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები საჭიროების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია ასევე მოიცავს კომიტეტისა და თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებს და შესაბამისი რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის მიმდინარეობისას გამოვლენილი შედეგების გათვალისწინებით, რეკომენდებულია, PDCA პრინციპისა და მექანიზმების ფარგლებში, ინფორმაციის სისტემური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი არ იყოს ფორმალური პროცესის ნაწილი და რეალურად ემსახურებოდეს პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას, გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას და სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნირებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების შემუშავების და შეფასების კომიტეტების ინფორმაცია მიმართულებების მიხედვით;
- ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში, ინფორმაციის სისტემური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი რეალურად ემსახურებოდეს პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას, გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას და სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, პროგრამის განვითარების კომიტეტსა და გარე ექსპერტის შეფასებას და აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის კოლეგიალური შეფასება გარე შემფასებელთა მიერ. პროგრამა გარე კოლეგიალური შეფასების ფარგლებში წარმოდგენილია დენვერის უნივერსიტეტის იოზეფ კორბელის საერთაშორისო სწავლების სკოლის ხელმძღვანელის მხარდაჭერის წერილი. წარმოდგენილი ინფორმაციისა და ინტერვიუების საფუძველზე, გამოვლინდა სადოქტორო პროგრამის აქტიური მხარდაჭერა დენვერის, როგორც პარტნიორი უნივერსიტეტის მხრიდან, ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობა და სასწავლო-კვლევითი კომპონენტის დადებითი შეფასება. პროგრამა შეფასდა როგორც თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი, გამორჩეულად აღინიშნა პროგრამის კურიკულუმი და კვლევითი ღირებულება და პროგრამის მიერ შეტანილი წვლილი როგორც ორმხრივი ურთიერთობებისა და პროექტების განხორციელების, ასევე მედიაციის კლინიკის მნიშვნელობის მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება; • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა; • საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები; • მხარდაჭერის წერილი; • ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი

საჭიროებების განსაზღვრისას. უსდ-ში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებს რეგულარულად აცნობს დაინტერესებულ მხარეებს.

ამასთან, უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დანერგილია პროგრამების კოლეგიალური განმავითარებელი შეფასების მექანიზმი, რომლის ფარგლებში პერიოდულ მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამები, რომლებიც აკრედიტაციის ვადის ფარგლებში რეგულარულად განიცდიან ცვლილებებს და ის პროგრამები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად განიცდიან ცვლილებებს. აღნიშნული სააკრედიტაციო პროცესის სიმულაციური ფორმატი ხელს უწყობს პროგრამების შეფასებას, ასევე, დაინტერესებულ და ჩართულ მხარეთა მიერ პროგრამების განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას.

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ როგორც წესი, გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება კურიკულუმის განვითარების სამუშაო ეტაპებზე. თუმცა, რეკომენდებულია მონიტორინგის მიმართულებით ფაკულტეტზე შემუშავებულ იქნას სათანადო კრიტერიუმები და ინდიკატორები პროგრამზე სიღრმისეული დაკვირვებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის, მეტად იქნას ყურადღება გამახვილებული პროგრამის მახასიათებლებზე, ასევე სადოქტორო დისერტაციების პოტენციური ხელმძღვანელებისა და განმახორციელებელი პერსონალის შესაბამისობაზე არაკლასიფიცირებულ მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მიმართებით.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების დადარება ადგილობრივ და საერთაშორისო ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. როგორც წესი, სამიზნე უნივერსიტეტები შერჩეულია დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით წარმატების მაჩვენებლების შესაბამისად. კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შესწავლილი საერთაშორისო ანალოგები მოიცავს ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებისა და უფსალას უნივერსიტეტის გამოცდილებას. პროგრამა მეტწილად ეფუძვნება ჯორჯ მეისონის და დენვერის უნივერსიტეტის გამოცდილებას, სწორედ აღნიშნული უნივერსიტეტის პროგრამასთან დადგინდა სადოქტორო პროგრამის კურიკულუმის სიახლოვე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის გარე შეფასება და მხარდაჭერის წერილები;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ფარგლებში, მეტად იქნას ყურადღება გამახვილებული პროგრამის მახასიათებლებზე, პროგრამაზე სიღრმისეული დაკვირვებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის მისანიჭებელ არაკლასიფიცირებულ კვალიფიკაციასთან მიმართებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები			X	

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 49

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			X	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები			X	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თამთა ცხოვრებაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ირაკლი გორგილაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: სოფიო მიდელაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ჯოვანა აბლოთია